საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 331 2019 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

„შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 სექტემბრის №418 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 სექტემბრის №418 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/09/2017, 300160070.10.003.020127) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“:

1. მე-2 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ) **სტიმულირების პროგრამა** – შემსყიდველის მიერ შემუშავებული სტიმულირების პროგრამა, რომლის პირობების გათვალისწინებით გაფორმებული სტიმულირების ხელშეკრულება ითვალისწინებს

საქართველოს აეროპორტებში ავიამიმართულებების, სიხშირეების ან/და მგზავრთნაკადის ზრდის უზრუნველყოფის მარკეტინგული მომსახურების შესყიდვას. სტიმულირების პროგრამის ფარგლებში მტკიცდება ავიაკომპანიის გაზირების, ახალი პრიორიტეტული მიმართულების, ახალი სტრატეგიული მიმართულებისა და არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების პროგრამები;".

2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 – 10^7 პუნქტები:

„10^1. არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულება ფორმდება ავიაკომპანიასთან, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაზირებული საჰაერო ხომალდით შეასრულებს ფრენებს არსებული სტრატეგიული მიმართულებით.

10^2. სტიმულირების ხელშეკრულების მიზნებისათვის, არსებულ სტრატეგიულ მიმართულებებად ითვლება თბილისი-ლონდონი-თბილისისა და თბილისი-ბრიუსელი-თბილისის მიმართულებები.

10^3. ხელშეკრულების ღირებულება თითოეული არსებული სტრატეგიული მიმართულებისათვის უნდა განისაზღვროს არა უმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) ევროს ოდენობით დღგ-ის გარეშე, თითოეულ ჩამომფრენ მგზავრზე, სტიმულირების პროგრამის ფარგლებში, რაც ჯამური ღირებულების სახით (თითოეული არსებული სტრატეგიული მიმართულებისათვის) არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ევროს დღგ-ის გარეშე.

10^4. არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულების ფარგლებში ავიაკომპანიამ უნდა უზრუნველყოს წლის განმავლობაში უწყვეტად, კვირაში, სულ მცირე, 2 სიხშირის შესრულება თითოეულ არსებულ სტრატეგიულ მიმართულებაზე.

10^5. შემსყიდველი უფლებამოსილია, არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულება თითოეულ

მიმართულებაზე ერთ ავიაკომპანიასთან გააფორმოს არა უმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით.

10^6. იმ შემთხვევაში, თუ არსებული სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ მიმართავს ერთზე მეტი ავიაკომპანია და მათგან ორი ან მეტი აკმაყოფილებს ახალი ავიაკომპანიის სტიმულირების ხელშეკრულების გაფორმებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ხელშეკრულების გაფორმების რიგითობა განისაზღვრება ამ ავიაკომპანიების მიერ მოთხოვნის წარდგენის დროის მიხედვით, თანმიმდევრობით. პირველი ხელშეკრულება გაფორმდება ავიაკომპანიასთან, რომელმაც პირველმა მიმართა შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“.

10^7. იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ არსებულ სტრატეგიულ მიმართულებაზე გაფორმდება სტიმულირების 2 ხელშეკრულება, შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას სტრატეგიული მიმართულების სტიმულირების შემდგომი ხელშეკრულებების გაფორმებაზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**